

საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროლეტარული კულტურის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

10 სექტემბერი, 1987 წ. № 175 (9586) შპნ 3 კპა.

გამოცემის 1934 წლის 13 პერიდიკატი

ეკლესია ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს

# „სადაც დიდებულს მთასა გვიწვავს“

50 წლის წინათ ჩვენმა მთავრობამ კავკასიის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალს დიდი ილიას სახელი უწოდეს. დღეს, როდესაც ჩვენი ერის საამაყო შვილის დაბადების 150 წლისთავს გვხვობთ, საქართველოს სპორტსაქონლმა და ალპინიზმის ფედერაციამ მოაწყო ალპინიზმი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დღეისთვის, ქუთაისის, ცხინვლის, ჭიათურის, ონის, გორის, ლენტეხის, მესტიისა და ყაზბეგის ახალგაზრდობა — სულ 150

რტის დაქაბულნი ოსტატი დიმიტრი ობოლაძე, ცნობილი მთამსვლელები გიორგი დევიძე, არსენ რატიანი და ზაქარო მუშაყულიანი. ჩვენ გამგზავრების წინ შეგვხვდით და ვესაუბრეთ ალპინიზმის რამდენიმე მონაწილეს. ქეთევან გელაშვილი. კომუნალური მუშაურთობის სამინისტროს მონარაგების სამმართველოს ინჟინერი: — მთაში პირველად მივიღივარ, როგორც იქნა, ჩემი დიდი ხნის ოც-



კაცბდე. რესპუბლიკური მასშტაბით ასეთი მასობრივი ალპინიზმი ათ წელზე მეტია არ ჩატარებულა. ალპინიზმის მონაწილეები თავიანთი რაიონებიდან წამოვიდნენ და ერთმანეთს შეხვედნენ დარიალის ხეობაში სოფელ გველეთში. აქ ისინი გაივლიან წვრთნას და აკლმატიზაციას, შემდეგ გაიყოფიან სამ ნაწილად და თითქმის ერთდროულად შეუტევენ სამ მწვერვალს — ორწვერს (სიმაღლე 4250 მეტრი), ილია ჭავჭავაძის (4350) და მყინვარწვერს (5043). მწვერვალებისკენ მათ გაუძღვებიან გამოცდილი მთამსვლელები — სპორ-

ნებას ვისრულებ. ლაშქრობაში ხშირად ვყოფილვარ, ვიყავი სვანეთშიც, მაგრამ ასეთი სერიოზული გამოცდა ჩემთვის პირველია. სერგეი რუჟევსკი. ალპინიზმის ყველაზე უმცროსი მონაწილე (15 წლის), 31-ე პროფტექნიკური სასწავლებლის II კურსის მოსწავლე. — მინდა თავი გამოვცადო. რატომღაც მგონია, მწვერვალზე თუ ავიდი, მერე ცხოვრებაში ყველა დაბრკოლებას გადავლახავ... გამარჯვებას ვისურვებთ!

ს უ რ ა თ ე: გამგზავრების წინ.

## მედიცინა - პიონირი

**მსტარაპა.** ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში გრძელდება ძალოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბულგარელმა ათლეტებმა კიდევ ორ წონაში მოიპოვეს ოქროს მედლები. 60 კგ-ში მსოფლიო ჩემპიონი გახდა ს. თოფუროვი — 315 კგ, 67 კგ-ში კი 22 წლის მიხეილ პეტროვი — 350 კგ. ბულგარელმა ძალოსნებმა ამ ჩემპიონატში უკვე ოთხი ოქროს მედალი მიიღეს.

**პაპილტონი.** კანადის თაისის ვაშლის პირველი ფინალისტის ვინაობა ცნობილია. ესაა სსრ კავშირის ჰოკეისტა ნაკრები, რომელმაც ნახევარფინალში შევეციის გუნდი დაამარცხა — 4:2. შიბები

**წოდებათა მინიკვა**  
სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო

გაიტანეს. კრუტოვმა, ბიკოვმა, ლარიონოვმა, მაკაროვმა (სსრ კავშირი), ბერგვისტმა და პ. ანდერსონმა (შვეიცია).

**პარანსი (ახსპანეთი).** კალათბურთულ ქალთა ევროპის ჩემპიონატის (ჯგუფური ტურნირი) ბოლო მატჩში საბჭოთა ნაკრებმა შევეციის გუნდი დაამარცხა — 136:63 (70:39). ამ ჯგუფში ნახევარფინალში თამაშის უფლება ჩვენს კალათბურთელებთან ერთად უნგრელებმაც მოიპოვეს. ბრძოლას გააგრძელებენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები.

**არისტოქსი.** ადგილობრივი სპორტის სასახლის სარბელზე დაიწყო საბჭოთა კავშირის თაისის ვაშლის სპორტულ ტანვარჯიშში. სავალდებულო პროგრამის შემდეგ 57,70 ქულით დაწინაურდა ამავე პრიზის მარშანდელი მფლობელი 23 წლის ვლადიმირელი ვლადიმერ არტიომოვი.

ფო კომიტეტმა ჩოგბურთში საკავშირო კატეგორიის მსახურს წოდება მიანიჭა გრიგოლ ღარიბაშვილს (პროფკავშირები, თბილისი).

მსოფლიო პირველობის შესარჩები მატჩ-ტურნირი

## პირველი ყაიძი

თბილისის ჯარაჯის სასახლეში დაიწყო დამატებითი მატჩ-ტურნირი პრეტენდენტთა ტურნირის ორი საგზურისთვის. წილისყრის შედეგად მონაწილენი ასე განლაგდნენ: 1. ელიშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია), 2. ირინა ლევიტინა (ლენინგრადი), 3. ნონა გაფრინდაშვილი (თბილისი). როგორც ცნობილია, ისინი ერთმანეთს 3-3-ჯერ შეხვედებიან.

გუმწინ შედეგად I ტურის პირველი პარტია ერთმანეთს შეხვედნენ ირინა ლევიტინა და ნონა გაფრინდაშვილი. გათამაშდა ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი ვარიანტი. მე-7 სვლაზე ლევიტინამ ქ4 ითამაშა (თელიაში მიღებულია ქ4), ხოლო მე-8 სვლაზე — c5, რის შემდეგაც პარტია თავისთვის სასურველ პოზიციაში გადაიყვანა. მეოთხედივე სვლაზე დაფაზე ლაზიერები გაიცვალა, მე-ცხრამეტეზე კი, თითო ერთს გაეცვალა შემდეგ, ლევიტინამ ხ ხაზი დაიკავა, თუმცა გაფრინდაშვილის პოზიცია მყარი იყო და მეტოქის ეს სვლა მისთვის არავითარ საშუალებას არ წარმოადგინდა.

მატჩ-ტურნირი ახალი რეგლამენტით ტარდება. თითოეულ მეტოქეს პირველ 40 სვლაზე 2 საათი ეძლევა, მომდევნო 20 სვლაზე კი — თითო. ასეთი რეგლამენტის გამო ხშირი ცაიტნოტები მსალოდნელია. ახლაც, უკვე 27-ე სვლისთვის დაფაზე ორხრივ ცაიტნოტი წარმოიქმნა. მიუხედავად ამისა, ორივე მეტოქე უსუსტად თამაშობდა. საბოლოო პოზიცია გამარტივდა და, როდესაც დაფაზე სვლასხვა ფე-



რის კუთა ენდშილი წარმოიქმნა, მეტოქენი დაზავდნენ.

- 0. ლევიტინა —**
- 5. გაფრინდაშვილი**
1. d4 d5 2. f3 e6 3. c4 e7 4. e3 f6 5. e5 e6 6. e3 h6 7. e4 0-0 8. c5 e5 9. e3 e6 10. 0-0 e4 11. e4 b6 12. b4 bc 13. bc la5 14. ლd2 e8 15. მე2 ლ:d2 16. e:d2 e8 17. gab1 e7 18. f3 e:b1 19. e:b1 f6 20. g3 მეf7 21. მეფ2 გ6 22. ეb4 ეe8 23. მეg1 e5 24. მh4 e4 25. ეe2 მf8 26. f5 მეფ7 27. მ:g6 მ:g6 28. f:g მე:g6 29. ეb3

ეე7 30. მh3 ე:h3+ 31. მე:h3 ეa5 32. მეფ2 ეd2 33. ეa6 e3 34. fe ე:e3 35. ეb7 ე:b7 36. ე:b7 ე:d4 37. ე:c6. ყაიძი.

I ტურის მეორე პარტიაში ერთმანეთს შეხვედნენ ელიშკა კლიმოვა (თეთრებით) და ირინა ლევიტინა.

**თამარ ხუბაშვილი,** საერთაშორისო ოსტატი.

**გუშინ** მატჩ-ტურნირის მეორე პარტიაში ირინა ლევიტინამ (ივლიანო) 36-ე სვლაზე დაამარცხა ელიშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია).

## ტურნირის პეო

# დიდი გზის დასასაფ ყიისი


**თავისუფალი** სტილის ჯაბუკ-მოქიდევეთა ევროპის ჩემპიონატი პოლონეთის ქალაქ კატოვიცეში ჩატარდა. ამ ტურნირის ფავორიტებად, იმთავითვე, საბჭოთა ათლეტები ითვლებოდნენ. მათ წარმატებით ჩაატარეს კიდევ შეჯიბრება, შვიდი პირველი, სამი — მეორე ადგილი დასაკუთრეს და გუნდური გამარჯვებაც მოიპოვეს. საბჭოთა

ნაკრების ამ წარმატებაში გარკვეული წვლილი ქართველმა მოჭიდავეებმაც შეიტანეს. ისინი სამი იყვნენ კატოვიცეში და სამივე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

გეორგი ხინჩიკაშვილმა, მაგალითად, ხუთი ბრძოლა ჩაატარა, ოთხი წმინდად მოიგო და ორთი — ქულებით. განსაკუთრებით დასამახს-


ოვრებელი იყო მისი პირველი გამარჯვება უნგრელ ათლეტთან. ხინჩიკაშვილს ამ ბრძოლის მსაგებად სულ 10 წამი დასჭირდა. მეორე ასეთი მოკლე შეხვედრა ჩემპიონატში არც ყოფილა. არა და გეორგი, როგორც ირკვევა, „ბლოც-

ის. მ. 4 83



**გიორგი ხინჩიკაშვილი**

დაიბადა 1970 წლის 15 იანვარს გორში. სპორტის ოსტატი, პროფკავშირები. სიმაღლე — 168 სმ, წონა — 88 კგ. გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის III კურსის სტუდენტი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1979 წელს. პირველ წარმატებას 1981 წელს მიაღწია — მოიგო საქართველოს პირველობა მოსწავლეთა შორის. სსრ კავშირის ჩემპიონი (1986 წ.) ჯაბუკებში, მეგობრობის ტურნირის ჩემპიონი 1986 და 1987 წლებში, ევროპის 1987 წლის ჩემპიონი ჯაბუკთა შორის.



**გიორგი ხინჩიკაშვილი**

დაიბადა 1971 წლის 21 თებერვალს ყვარელში. სპორტის ოსტატი, „შრომითი რეზერვები“. სიმაღლე — 174 სმ, წონა — 68 კგ. დაამთავრა სპორტული პროფილის რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1977 წელს. პირველ წარმატებას 1982 წელს მიაღწია — გახდა საქართველოს ჩემპიონი მოსწავლეთა შორის. 1985 წელს სპორტსკოლა-ინტერნატების საკავშირო პირველობა მოიგო. 1987 წელს ჯაბუკთა საკავშირო პირველობაზე მეორე იყო. ამავე წლის მეგობრობის საერთაშორისო ტურნირისა და ევროპის ჯაბუკთა პირველობის ჩემპიონი.



**პაპი გაგუდავა**

დაიბადა 1970 წელს სამტრედიოში. სპორტის ოსტატი. პროფკავშირები. სიმაღლე — 176 სმ, წონა — 81 კგ. დაამთავრა სამტრედიის საშუალო სკოლა. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1979 წელს. პირველ წარმატებას 1982 წელს მიაღწია — მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა. სსრ კავშირის ჯაბუკთა საკავშირო პირველობის (1987 წ.), „მეგობრობა-87“-ისა და ჯაბუკთა ევროპის პირველობის ჩემპიონი.





# დიდი გზის დასაწყისი



(დასასრული)

გამარჯვებების“ დიდი სპეციალისტი ყოფილა. „მეგობრობა-87“-ის წლებში ტურნირში მან ერთი მეტრზე 6 წამში წააქცია და მაშინაც თავისებური რეკორდი დაამყარა.

ხინჩიკაშვილმა წმინდად მოუგო შეხვედრები აგრეთვე გფრ-ის, იტალიისა და ბულგარეთის მოქილავებს.

ფინალში მისი უპირატესობა ბულგარულ ათლეტთან 21 ქულით განისაზღვრა. ერთადერთი გამარჯვება ქულებით და ისიც ანგარიშით 8:3 რუმინელ მოქილავესთან ჰქონდა.

დაახლოებით ასეთივე გზა განვლო ოქროს მედალზე გიორგი ივანიშვილმაც. ხუთი შეხვედრა, სამი წმინდა გამარჯვება და

ორი — ქულებით. მაგრამ ქულებით მოგებულ ორთაბრძოლებშიც აშკარად იგრძნობოდა ქართველი მოქილავის უპირატესობა.

თავად სპორტსმენს რომ ჰქონოდა, ყველაზე შეუპოვარი წინააღმდეგობა რუმინელმა ელექსმა გაუწვია ფინალში. შეუპოვარი იმით ვამბობ, რომ გიორგიმ ამ შეხვედრაში მხოლოდ ოთხი ქულა

„დაითრია“, თორემ მეტოქისთვის არც ერთი არ მიუცია.

აკაკი ვაბუაძეს თავის მეგობრებთან შედარებით ნაკლები გამოცდილება აქვს. ალბათ იმიტომ მას ყინვისურამაც გაუშარბო — ერთ წრეში ისევე გადა და ამის გამო ერთით ნაკლები შეხვედრა ჩაატარა. მაგრამ კაცმა რომ თქვას, ამას რამდენიმე წელიწადი აქვს. მთავარი ისაა, რომ ქართველმა მოქილავემ ყველა მეტრზე დაამარცხა და თანაუნდ-

ელემბის მსგავსად პირველი ადგილი დაიკავა.

კაბუთა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებულ დიდი სპორტსმენი ლასკარაძის მხოლოდ კარგად დაწვინებული საჭე კარგადვე უნდა გააჩერდეს და დაგვირგინდეს. სახეზე ათლეტს აქვს მძიმე საშუალება, ოღონდ... საჭიროა სერიოზული და გულმოდგინე მუშაობა. უშრომლად სპორტის მწვერულები არავის დაუპყრია. ამას კაბუტ მოქილავებს მხოლოდ კეთილი სურვილების სახით შევასწავნებთ.




ქმედა მის თამოყვარებობაზე და რაიანმა მიხნად დაისახა მძლეობაში ჩემპიონი გამხდარიყო კოლეჯის მწვრთნელი ბობ ტიმონსი მოხიბლა ჯიმის შეუპოვრობამ და მან იგი თავის ჯგუფში ჩაირიცხა. სულ რაღაც 6 თვეში რაიანი ყველაზე პერსპექტიული მორბენალი გახდა ჯგუფში.

ვარჯიში 1962 წლიდან დაიწყო და 2 წელიწადში უკვე აშშ-ის ოლიმპიურ ნაკრებში მოხვდა. კვირაში 160 კმ-ზე მეტს ფარავდა. სწორედ მორბენლის მონაცემები ჰქონდა (სიმაღლე 186 სმ, წონა 68 კგ), მაგრამ მარტო მონაცემებით რას ვახდებოდა, შესაშური ექანი, მტკიცე ხასიათი და ფენომენალური გამძლეობა რომ არ ჰქონოდა. 1963 წელს მან უკვე მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1500 მ და 1 მილზე 16 წლის ასაკის სპორტსმენთა შორის. ამას მოჰყვა ახალი მსოფლიო რეკორდი 880 იარზე და სხვა ეროვნული რეკორდები.

17 წლისა მსოფლიოში, სკოლის მოსწავლეთა შორის პირველი, როჯერ ბანი სტერის კლუბის წევრიც გახდა (ამ კლუბში ლეგენდარული მხოლოდ იმ მორბენლებს, რომლებიც 1 მილს 4 წუთზე ნაკლებ დროში ფარავენ). მსოფლიოს ერთ-ერთმა უძლიერესმა მორბენალმა, დევიდ ბერლესონმა აღიარა, რომ „რაიანის ეს შედეგი უფრო შთაბეჭდილია ვიდრე როჯერ ბანისტერის პირველი მილი, რომელიც მან 4 წუთზე ნაკლებ დროში დაფარა“.

სპეციალისტები ჯიმ რაიანს ფანტასტიკურ მომავალს უწინასწარმ-



თავის გადაწყვეტილებებს, რომ ნშირად ყოველგვარ სიაშეზღვევასაც თმობდა ვარჯიშისთვის.

ერთ-ერთ ინტერვიუში შეკითხვაზე: „რა არის თქვენთვის სირბილი?“ რაიანმა ასე უპასუხა: „სირბილი — ეს უმთავრესად ფსიქოლოგიური შრომაა. სამს რომ ყოველდღე გაუძლო, საჭიროა სულის სიძლიერე — არა ისეთი, რომ ატანო ვარჯიში, არამედ ისეთი, რომ მასში იპოვნო ბედნიერება“.

ჯიმი არასოდეს არ აცდენდა დილის ვარჯიშებს. ამბობდა: „ყველაზე ძნელია არა სირბილი, არამედ სისხამ დილით ადგომა სირბენად. მაგრამ საკმარისია ავდეგ და ქუჩაში გავიდე, რომ ეს დრო ჩემთვის დღის საუკეთესო მონაკვეთად იქცეს“.

ამერიკაში ყველაზე პოპულარულ სახეობად ითვლება 1 მილზე სირბილი. ამიტომ ვაკვირვებამ არ იწვევს ამ დისტანციაზე გამართული კონკურენციის მაღალი დონე.

19 წლისა ჯიმი ყველაზე პოპულარული სპორტსმენი გახდა შეერთებულ შტატებში. ამ დროისთვის ხუმრობით ამბობდნენ: „ჯანჯანის შტატი განთქმულია ძროხებით, „ბონისის“ თვითმფრინავებით და 1 მილზე მორბენლებით“.

რაიანი ჯანჯანის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. თან ფორტუნილისტად მუშაობდა ქურნალ „თეპიტალ ჯორნელი“ში, მორბენლის კარგ მონაცემებს აქაც კარგად იყენებდა. ყველაზე სწრაფად რედაქციაში მის მიერ გადაღებული სურათები მიდიოდა. ფეხბურთის მატჩის დამთავრების შემდეგ ქუჩაში მანქანების „საცხის“ მხოლოდ სირბილით თუ დააღწევს თავს კაცმა. ჯიმისთვის კი ეს ადვილი საქმე იყო.

ტოკიოში წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, რაიანს მეხიკოს ოლიმპიადის იმედი ჰქონდა. იმ დროისათვის მან 1500 მეტრზე ფანტასტიკური რეკორდი (3:33,1) დაამყარა და აშკარად ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ვერც იქ მოიპოვა სასუვეარი „ოქროს“. მეხიკოში 1500 მ-ზე მედლები ასე განაწილდა: 1. კ. კეინო (კენია), 2. ჯ. რაიანი, 3. ბ. ტიუმლირი (გერმ).

1972 წ. მიუნენის ოლიმპიადებზე ჯიმ რაიანს საბოლოოდ უღალატა ფორტუნამ, იგი წინასწარ გარბნენი, აფრიკელ მორბენალ ბილ ფორჯუორს შეეჯახა, მასთან ერთად წაიქცა და ფინალის მიღმა დარჩა. ეს შემთხვევა ოლიმპიადებზე ერთ-ერთი სენსაცია იყო.

ჯიმ რაიანმა, ამ „უღიბლო ოლიმპიადეში“ ისე მიიტოვა სამოყვარულო სპორტი, რომ ვერ შეისრულა სასუვეარი ოცნება, მოეპოვებინა ოლიმპიური ოქრო, 1973 წელს იგი პროფესიონალებში გადავიდა, სადაც წარუმატებლად გამოდიოდა.

დასაინანი, რომ ჯიმ რაიანმა ასე უფერულად დაამთავრა თავისი სპორტული კარიერა. მძლეობის საღამო კომპლექტულმა მიღვამ მას და არა მხოლოდ მას, არამედ მრავალ მის წაყვანისმცემელს იმედი გაუტრუა და მსოფლიო მძლეობის დიდი ვარსკვლავი დაუპარგა.

## უიღბლო რეკორდსმენი

**ამერიკელი** მძლეობანი ჯიმ რაიანი 1966 და 1967 წლებში მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. რაიანის გამორჩენილი სპორტში ნამდვილი სენსაცია იყო. მსოფლიოში არც ერთ მორბენალს არ მიუღწევია ამ ასაკში ამგვარი წარმატებებისთვის. 1966-67 წლებში 19 წლის ჯიმ რაიანმა ოთხი მსოფლიო რეკორდი დაამყარა საშუალო მანძილებზე სირბილში: 880 იარზე — 1:44,9 (1966), 1500 მეტრზე — 3:33,1 (1967), 1 მილზე — 3:51,3 (1966) და 3:51,1 (1967).

მსოფლიოში ჯიმ რაიანი დღემდე ყველაზე ახალგაზრდა რეკორდსმენია 1 მილზე რბენაში, თვით ლენგინდარულმა ჰერბერტ ელიოტმაც კი „ვერ მოასწრო“ 19 წლის ასაკში დაემყარებინა მსოფლიო რეკორდი. ჯიმ რაიანს „ფიზიოლოგიურ ფენომენსაც“ კი უწოდებდნენ.

ჯიმის რონალდ რაიანი დაიბადა 1947 წ. 29 აპრილს კანზასის შტატის ქალაქ უიჩიტოში. ჯიმი სიორილ შრომისმოყვარე ბავშვი იყო. მიყვებოდა სპორტს: თამაშობდა კალთბურთს, დარბოდა, მაგრამ ფიზიკური მონაცემებით არ გამოირჩეოდა პირიქით, ქუსტად გამოიყურებოდა. ამაში გვარწმუნებს მისი პირველი სპორტული შედეგები: სტადიონის ერთი წრის შემორბენას იმდენი დრო მოანდომა, რომ იგი გარიცხეს სასკოლო გუნდიდან. ერთხანს ასეთი კითხვა აეკვირათ: „იქნებ ჯალდაკის თამაში დაიწყო?“ მაგრამ ამ მარცხმა, ეტყობა, დამთრგუნველად იმო-

ტყველებდნენ, ამბობდნენ, რომ ის ვახდებოდა ყველა დროის უღიბესი მორბენალი.

ტოკიოს ოლიმპიადებზე რაიანი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო. იმდენად დიდი იყო მისი პოპულარობა, რომ უიჩიტოს მცხოვრებლებმა ჯიმის მშობლებს ფული შეუპოვეს (3000 დოლარი) ზე მეტი ტოკიოში გასამგზავრებლად. ჯიმი კარგად იყო მომზადებული, მაგრამ ვაკცედა და ავადმყოფობამ ხელი შეუშალა მაღალი შედეგის ჩვენებაში. 1500 მ-ზე ნახევარფინალში მან მხოლოდ მეცხრე შედეგი აჩვენა და ფინალში ვერ მოხვდა. ოლიმპიური ჩემპიონი კი ახალგაზრდა პიტერ სნელი გახდა. ოლიმპიადის შემდეგ რაიანმა აშშ-ის ღია ჩემპიონატზე გაიმარჯვა (1 მილზე). ეს წარმატება მით უფრო საპატიო იყო, რომ იგი ხუთჯერ მსოფლიო რეკორდსმენთან და სამჯერ ოლიმპიურ ჩემპიონ პიტერ სნელთან პაექრობაში იყო მოპოვებული.

რაიანი ვარჯიშობდა კომპლექსურად: სიჩქარის და სპეციალურ გამძლეობის გასაუმჯობესებლად, სხვადასხვა სიჩქარით, სხვადასხვა დისტანციებზე (1500, 800, 400 მ) დარბოდა.

დღის რეჟიმი საქმიან დაძაბული ჰქონდა. დილით აქვსის ნახევარზე დღებოდა. გაირბენდა 6 მილს, ისაუზნებდა და რვის ნახევარზე უკვე ლეიტებზე სიქდა, შემდეგ ისევ ერთი საათით ვარჯიშობდა. მისთვის უცხო იყო „ვარ შემობლია“. იმდენად ემორჩილებოდა.

დასაინანი, რომ ჯიმ რაიანმა ასე უფერულად დაამთავრა თავისი სპორტული კარიერა. მძლეობის საღამო კომპლექტულმა მიღვამ მას და არა მხოლოდ მას, არამედ მრავალ მის წაყვანისმცემელს იმედი გაუტრუა და მსოფლიო მძლეობის დიდი ვარსკვლავი დაუპარგა.

**მასალა მოამზადეს გიორგი და შალვა სენაოჩაშვილებმა.**

## ვისან ველოსორბე უყვარს


საქართველოს პროფკავშირების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური ველოსკოლა საგრძნობლად გაფართოვდა და გაიზარდა. ადრე ამ სკოლაში (რესპუბლიკის მანქანების) 250 ნორჩი ველოსიპედისტი მეცადინეობდა, ახლა კი მოვარჯიშეთა რაოდენობამ ხუთასს მიაღწია. ცხადია, შესაბამისად გაიზარდა მწვრთნელთა კონტინგენტი. წლებიდან დაიწყო სსსრ-ის დაწესებულებების განსაკუთრებით საზეიმოდ აღნიშნა კამოს ქუჩაზე მდებარე ველოტრეკზე. მერე ნორჩ ველოსიპედისტთა მონაწილეობით სახალისო შეჯიბრება მოეწყო.

ახალი სასწავლო წლის დაწყებთან დაკავშირებით კომპლექსური ველოსკოლა, რომელსაც ფილიალები აქვს სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, სამტრედიისში, ლავიანთსა და რუსთაველაში, 10 ოქტომბრამდე 1973-1977 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას აცხადებს. ველოსკოლაში მოყვარულებს, რომლებსაც აქვთ სკოლაში შესვლის სურვილი, შევასხენებთ, რომ მათ კვალიფიკური მწვრთნელები მოემსახურებიან. ამავე დროს, ნორჩები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ფორმითა და ინვენტარით.

**მისწერი პარანაზი**

**ცენტრალური ბალეონია. 10 სექტემბერი.** დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); კანადის თასი ჰოკეიში. ნახევარფინალური მატჩი — 9.35 (1); მსოფლიო ჩემპიონატი ძალისხნობაში — 19.15 (2).

**რედაქტორის მოადგილე უ. ზიზინაძე.**



საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს მიღებას ასპირანტურის დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებებზე.

დასწრებული სწავლების განყოფილებაზე მიღება ცხადდება შემდეგ სპეციალობებზე:

**ტანვარჯიში — 1 ადგილი**  
**ფეხბურთი — 1 ადგილი**  
**ცურვა — 1 ადგილი**  
დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე:

**ფარეკაბა — 1 ადგილი**  
**ფიზიკური აღზრდის თეორია — 1 ადგილი** (მიზნობრივად — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისათვის)  
**რეგია — 1 ადგილი**  
კონსტრუქტორის მონაწილემ უნდა წარმოადგინოს განცხადება რეკტორის სახელზე, დახასიათება უქანსა-ქნელი სამსახურის ადგილიდან ასპირანტურაში მიღების რეკომენდაციით, კადრების აღრიცხვის ფურცელი, დიალომის პირი, 4 ფოტოსურათი, ამონაწერი შრომის წიგნ-

კიდან, ავტობიოგრაფია (საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს ორი პირად). საბუთებთან ერთად აღმუშავებული უნდა იქნეს სახელმწიფო სამეცნიერო შრომების სისასან რეფერატს არჩეული სპეციალობის თემაზე (ვისაც სამეცნიერო შრომები არა აქვს). წარმოებისაგან მოწყვეტილი სასწავლებლად მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე არანაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟით სპეციალობის მიხედვით ინსტიტუტის საბჭოს რეკომენდაციით, ხოლო წარმოებისაგან მოწყვეტილი — მოქალაქენი 45 წლის ასაკამდე არანაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟით (სპეციალობით).

საბუთები მიიღება 2 კვირის განმავლობაში დიდიან განცხადებისა. მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: 1. ფიზიკური კულტურის თეორია; 2. სპეციალობის სახელმწიფო სამეცნიერო შრომების დაიწყება 1 ოქტომბერს.

მისამართი: 380 062, თბილისი, ბ. ჭავჭავაძის გამზირი, 49.

**სამეცნიერო განყოფილება**

**ბ. დიმიტროვის სახელობის საპედაგოგიკური ინსტიტუტი**

**11 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**საპედაგოგიკური პირველკლასი**

**II ლიბა, IX ჯონა**

**„შეპარაქანი“-სპი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედი)**

დასაწყისი 18 ს.

**თბილისის სახალისო განათლების ხანძარი**

**მთავრობის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლა** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1987-88 სასწავლო წლისათვის რეგიაში სამეცნიერო მიღების 1978, მაგისტრის რეგიაში — 1980 ტყულის სკოლაში — 1977 და ბაღდათში — 1979 წელს დაბადებული.

მისამართი: თბილისი, დილის მ. სივი, III კვარტალი, ბელაშვილის ქ. № 6, დილის სპორტული კომპლექსი. ტელეფონი: 51-37-49, 51-83-95.

**ჩვენი მისამართი:**  
წერილებისთვის — 380098  
თბილისი, ლენინის ქ. 14.  
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**ჩემპიონის ბალეონები:**  
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამედიცინო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „მარტვი“ — 93-97-27.

**63061**  
**064630**  
**88428**

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენის ტარება. 380098, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოქტომბრიდან წესით ნაგავით კორპუსში: ბოზარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07167